პროექტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

,,საქართველოს კანონის ,,საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმისა და საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ფორმების, მათი შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის N34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, 23-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს:**

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება ,,საქართველოს კანონის ,,საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმისა და საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ფორმების, მათი შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის N34 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 26.06.2022, №010250020.35.123.016626), კერძოდ, დადგენილების მე-7 მუხლი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 7.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს „ქუთაისის მუნიციპალურ ინსპექციას“ (საიდენტიფიკაციო კოდის №412767830) მიენიჭოს საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ 55^2, 55^5, 55^6 , 64^2 , 77^1 მუხლებით, 82^5 მუხლით (პლასტიკისა და ბიოდეგრადირებადი პარკების რეალიზაციის ნაწილში), 103-ე, 103^2, 107^4 მუხლებით, 125-ე მუხლის მე-8, 8^2 , 8^3 , მე-12, მე-13, მე-14, მე-16 ნაწილებით, 134^1, 135-ე, 135^1 , 146^1, 148-ე, 150-ე, 150^1, 151-ე, 151^2, 152-ე, 152^2, 152^5, 152^6, 152^7, 152^8, 152^9 მუხლებით, 153^3 მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 ნაწილებით, 153^4, 156^2, 156^4 მუხლებით, 158^5 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 159-ე, 159^1 მუხლებით, 166^2 მუხლის პირველი ნაწილით, 172-ე მუხლითა (იმ ნაწილში, რომელიც გულისხმობს მშობლის ან ბავშვის სხვა კანონიერი წარმომადგენლის მიერ არასრულწლოვანის აღზრდისა და სწავლების ან მის მიმართ სხვა მოვალეობათა შეუსრულებლობას, რაც გამოიხატება არასრულწლოვანის მიერ ვანდალიზმის ჩადენით) და 172^{10} მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვის უფლებამოსილება.“

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს 2026 წლის 1 ივლისიდან.

დავით ერემეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

განმარტებითი ბარათი

„საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმისა და საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ფორმების, მათი შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის N34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით

1. ზოგადი ინფორმაცია დადგენილების პროექტის შესახებ:

ა) პროექტის მიღების მიზეზი:

„შინაურ ბინადარ ცხოველთა შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-6 პუნქტით მუნიციპალიტეტებმა უნდა უზრუნველყონ შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესების დამტკიცება ან ამ წესების არსებობის შემთხვევაში მათი ამ კანონთან შესაბამისობაში მოყვანა. აღნიშნული კანონის საფუძველზე, 2026 წლის 29 აპრილს ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება N14 ,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და შინაური ცხოველების – მსხვილფეხა ან/და წვრილფეხა პირუტყვის ყოლის წესების დამტკიცების შესახებ“. ხსენებულ დადგენილებასთან დაკავშირებით, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ 2026 წლის 22 მაისის NGOV 1 26 00016965 წერილით მიუთითა ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის N34 დადგენილების კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის თაობაზე, კერძოდ, დადგენილების მე-7 მუხლში, რომლითაც განსაზღვრულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის იმ მუხლების ჩამონათვალი, რომელთა განხილვის უფლებამოსილება მინიჭებული აქვს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს ,,ქუთაისის მუნიციპალურ ინსპექციას, უნდა დაემატოს ,,საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 103^2 (შინაური ბინადარი ცხოველის გადაადგილების მოთხოვნების დარღვევა) მუხლი.

ბ) პროექტის მიღების მიზანი:

აღნიშნული პროექტის მიღების მიზანია, ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის N34 დადგენილების ,,საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ და „შინაურ ბინადარ ცხოველთა შესახებ“ საქართველოს კანონებთან შესაბამისობაში მოყვანა.

2. დადგენილების პროექტის ფინანსური დასაბუთება

ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი.
ბ) პროექტის გავლენა ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:
პროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.
გ) პროექტის გავლენა ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:
პროექტის მიღებით ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი იზრდება.

3. დადგენილების პროექტის შემუშავებაში მონაწილეობდა:

ქალაქ ქუთაისის მუნციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეული - იურიდიული განყოფილება.

4. დადგენილების პროექტის ავტორი:

დადგენილების პროექტის ავტორია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეული - იურიდიული განყოფილება.

5. დადგენილების პროექტის ინიციატორი:

დადგენილების პროექტის ინიციატორია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი დავით ერემეიშვილი.

6. დადგენილების პროექტს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე წარადგენს:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული განყოფილების უფროსი, ირაკლი გიორგაძე.

დავით ერემეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი